# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 376. კვირა, 29 იანვარი 1906 წ. გაზეთის № 2991.

## ტყე და ქარიშხალი

(ეტიუდი)

ზამთარი მძვინვარებს, დედამიწას ჰბარდნის. ყინვა თანდათან სუსხს უმატებს, ქარიშხალი შფოთავს, იმუქრება. შენობებს უსისინებს, მინდვრებზე დანავარდობს, მომეტებულ ნაწილად მთებში ტყიანს ადგილებს ეტანება. იქ სჭირდება ბრძოლა. უზარმაზარი ხეები წინ ეღობებიან. ისმის საშინელი ზუზუნი, გმინვა, ღრიანცელი.

ნადირნი, ფრინველნი, ქვემძრომი ქია-ღუანი, ყველანი თავთავიანთ ბუნაგებში იმალებიან, გულის ფანცქალით ელიან გაზაფხულს.

იანვარი უკვე დღეებსა სთვლის, სულსა ჰლევს. ბრწყინვალე მზე თანდათან ახლოვდება, მალე ყველგან ერთნაირად მოჰფენს თავის უხვს, შარავანდედით მოსილს ნათელს.

ამავე იმედით უმკლავდებიან სიცივეს ადამიანები.

ზამთრის ქომაგი უფრო და უფრო მწვავდება, ონავრობს, ხეებს ჰგლეჯს, თოვლს, მიწას ჰხვეტს, ერთმანეთში ურევს, ჰბრდღვნის და გაბრაზებული ჰაერში აქეთ-იქით ჰფანტავს.

მაგრამ ქარიშხალს ნიადაგი არა აქვს. ხანგრძლივი ჭარ არის მისი ძალა. იგი შემთხვევით მძლავრობს, უსაძირკვლო



არმან ფალიერი
საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი.

კედელივით ქანაობს. საშიშია მხოლოდ მისთვის, ვინც დანგრევის დროს ქვეშ მოჰყვება.

შეწუხებული, უზარმაზარი ტყის მსხვილი, წვივ-მაგარი ნაძვის ძირები, ტოტების აქეთ-იქით ხეთქებით გაოგნებულნი, თანდათან გამეღგრებით ეწინაღმდეგებიან, ზღვის ზვირთებივით იზრდებიან, მრავლდებიან, ტალღებივით ზედიზედ ელალებიან და ჰქანცავენ მებრძოლს.

ქარიშხალს ღონე ეკარგება. უკანასკნელად ძალზედ ქშინავს, ალარაფერსა ჰზოგავს, თავპირს იმტვრევს, კლდეებს ეხლება, ათასად გადახლართულ ტოტებს ერთმანეთზედ მძლავრად ახეთქებს, ყველაფერს ანადგურებს, შემაძრწუნებლად ახმაურებს.

მაგრამ... ფესვები?!. ესაა საშიში!..

ყლორტები უკვე ჩნდებიან...

ქარიშხალი განწირულებით ღრიალებს, ღმუის, ტირის, თანდათან სუსტდება, ნელნელა სუნთქვას ჰკარგავს და ბრძოლის ველზედ მარტო დამტვრეული ტოტები და ცივი სამარე-ლარჩება.

დინჯი, აუჩქარელი ბუნება თავის დუმილში სამართალს არა სჩქმალავს.

ობილი მნათობი თოვლს გაადნობს და ახლად ააყვავებს მდელოს...

გ. ხერხეულიძე



ა. ფალიერი. ახალი პრეზიდენტი.
ლუბე. წინანდელი პრეზიდენტი.
ლუბე ურჩევს ფალიერს კენჭი იყაროს პრეზიდენტობაზე.

## ჩიტრა-გრივა ვეფხვი

აღმოსავლეთის ლეგენდა.

(თარგმანი)

ახალგაზდა ვილასა და მისი ბრძენი მასწავლებელი ბანდუ მოგზაურობდნენ მდ. გოდოვარის ნაპირებზე. შებინდებისას,



ტფილისში კედლებზე გაკრულ გენერალ გუბერნატორის განცხადების წინ.

როცა საღამოს ბურუსი მიწას გადაეფარა და ტურებმა კივილი იწყეს, მგზავრები ერთ დიდ ქალაქში მივიდნენ. ქუჩებში სამარისებური სიჩუმე იყო; ადამიანი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა, ისიც შეშინებული აქეთ-იქით იცქირებოდა და აჩრდილსავით ჩუმად მიიპარებოდა. მოხუცთა დანაოჭებულ სახეზე შიში იხატებოდა, დედაკაცებს ნამტირალევი თვალები გაწითლებული ჰქონდათ. მწარე სიღარიბე მოსჩანდა ნახევრად დანგრეულ სახლების ჭუჭყიან კედლებსა და იშვიათ გამვლელთა ძონძებზე. დიდის გაჭირვებით იშოვეს ვილასამა და პანდუმ ღამის გასათევი ბინა. ვილასამ ჰკითხა მასპინძელს:

— რად არის ასეთი შიშიანობა ქალაქში? რისი ეშინიათ მოხუცებს? რად დასივებიათ თვალები ქალებს ტირილისაგან, სად არიან ახალგაზდანი?

— დიდია ჩვენზედ მოვლენილი უბედურება,—უპასუხა მასპინძელმა ვილასას: შეუბრალებელი ჩიტრა-გრივა ვეფხვი დაეპატრონა ჩვენ ქალაქს. ვეფხვი ჩვენი ბატონია. ჩვენ მისი მონები ვართ. წაგვართვა ჩვენი შრომის ნაყოფი, რომ ომები სწიოს და ჩვენზე ზედამხედველები იყოლიოს; ჩვენი შვილები ჯარში გაიყვანა. ჩიტრა-გრივამ მოჰკლა მხიარულება და თაფლის სანთლად აქცია მამაკაცების გული. ქალებს იმიტომ აქვთ დაწითლებული თვალები, რომ სტირიან ბოროტ ჩიტრა-გრივასაგან წაყვანილებს და წასაყვანად გამზადებულებს. წყევა-კრულვა შენ, ჩვენო მტარვალო!

სთქვა თუ არა ეს მოხუცმა, მთიდან ქარმა დაჰბერა და მდინარის ბალახ-ბულახმა ჩურჩული შეჰქნა. გაფითრდა მოხუცი შიშისაგან, აკანკალდა და მუდარით დაიკვნესა:

— მაპატივე, მბრძანებელო! აპატივე შენ სულელსა და სულმდაბალ მონას, საიდანღაც მოვიდნენ ეს უცხოელები და საყვედურის თქმა შემაგონეს.

სევდამ მოიცვა ვილასა და მოუთმენლად ელოდა განთიადს. მზე რომ ამოცურდა და მისმა სხივებმა ღია ღრუბლები ვარდის ფრად შეღებს, მოწაფე და მასწავლებელი გზას შეუდგნენ.

შებინდებისას, როცა საღამოს ბურუსი მიწას გადაეფარა და ტურებმა კივილი შეჰქმნეს, მგზავრები მეორე ქალაქში მივიდნენ; აქაც სახლები ნახევრად დანგრეული იყო; მცხოვრებთა ტანისამოსს აქაც ძონძები შეადგენდა; მხოლოდ არ ისმოდა იდუმალი მონური კვნესა; არ სჩანდნენ შიშისაგან აკანკალებული ადამიანები. ღარიბად იყვნენ ჩაცმული მცხოვრებნი, მაგრამ თავი ამაყად ეჭირათ. ეს არის: გაღიმებას ვერ ახერხებდნენ. მრისხანედ იცქირებოდნენ მამაკაცები; მწუხარება და ზრუნვა ემჩნეოდა დედაკაცებს. მგზავრებმა ბინა ადვილად იშოვეს. მასპინძლებმა მცირე ვახშამი შესთავაზეს სტუმრებს:

— მეტს ვერას მოგართმევთ,—უთხრა მათ დაბლა დიასახლისმა:—სულმდაბალმა ვიჩიტრანგმა-ვეფხვმა, ჩვენმა მტარვალმა, ყველაფერი წაგვართვა.

ამ სიტყვებზე სახე გაუფითრდა სახლის პატრონს, მაგრამ შიშისაგან კი არა, არამედ განრისხებისა და აღშფოთებისაგან.

— წყევა-კრულვა შენ, სულმდაბალო მტარვალო!—დაუყვირა მან,—ახლოვდება დღე ჩვენის დახსნისა და მალე გაგაგდებთ შენ.

მასპინძლის შვილს თვალები გაუბრწყინდა და მისი ჯერ პატარა ხელები მაგრად მოიკუმშა.

ღამე მშვიდობიანად გაატარა ვილასამ. მზე რომ ამოცურდა და მისმა სხივებმა ღია ღრუბლები ვარდისფრად შეღებეს, მოწაფე და მასწავლებელი გზას შეუდგნენ. დაბინდდა და მგზავრები მესამე ქალაქში მივიდნენ. ჯერ კიდევ შორიდან მოესმათ საკრავების ტკბილი ხმა, მხიარული სიცილი და ყრმათა ბედნიერი ხმაურობა. სახლებს კეთილდღეობა ემჩნეოდა, მცხოვრებთა სახეზე ბედნიერების ბეჭედი იყო დასმული, პატარები სკოლიდან ბრუნდებოდნენ, ყრმანი თამაშობდნენ ან უფროსების ბრძნულ საუბარს ყურს უგდებდნენ, ჯეელები სამუშაოდან ბრუნდებოდნენ და სათათბიროსაკენ მიიჩქაროდნენ. მგზავრებმა ბინა ადვილად იშოვეს; ვახშამიც კარგი მოუტანეს· სანამ ვახშამს გაათავებდნენ, მასპინძელი სათათბიროდან მოვიდა. ცოლმა ჰკითხა ქმარს:

— რისთვის შეიკრიბენით დღეს?

— დამანაკა-ვეფხვმა გვთხოვა დავხმარებოდით ომში, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით: ჩვენ შრომასა და მშვიდობიანობას ვაფასებთ. დაგვემუქრა დამანაკა-ვეფხვი, მაგრამ მოხუცებმა უთხრეს—ხელს არ მოგცემს წაგვეჩხუბო, რადგან ყველაფერს დაჰკარგავო და დამანაკა-ვეფხვიც მიხვდა და დამშვიდდა.

მხიარულად დაიძინა ვილასამ. როცა მზე ამოცურდა და ღია ღრუბლები ვარდისფრად შეღება, მასწავლებელი და მოწაფე გზას შეუდგნენ.

ვილასამ უთხრა პანდუს:

— მასწავლებელო! ბედნიერია ის ქალაქი, რომლის ახლო დაბინავებულა სუსტი და მშიშარა დამანაკა-ვეფხვი; შესაბრალისია ის ქალაქი, რომელიც ხელში ჩავარდნია შეუბრალებელსა და ძლიერ ჩიტრა-გრივა ვეფხვს.

ბრძენმა პანდუმ ამაზე უპასუხა:

— იცოდე, ვილასა, რომ ჩიტრა-გრივა, ვიჩიტრანგა და დამანაკა სამი ვეფხვი კი არ არის, სამი სხვა და სხვა სახელია ერთისა და იმავ მხეცისა. იგი შეუბრალებელი და მკაცრია მშიშარა მონებთან და მონურად მორჩილია ამაყ ვაჟკაცებისა და რამდენად ქალაქი მზად არის იარაღით გასცეს პასუხი ძალმომრეობას, იმდენად წყნარი და მშვიდია ვეფხვი. ჩიტრა-გრივამ ხელში იგდო პირველი ქალაქი: ამ ქალაქის მცხოვრებნი მშიშარა მონებია: ბრძოლას ვერ ბედავენ და სასწაულს ელიან: ვეფხვი კეთილი და სულგრძელი შეიქნებაო. ასეთი სასწაული არასოდეს არ მოხდება. რამდენად უფრო მორჩილი არიან მონები, იმდენად მეტ სიამოვნებას ჰპოვებს ჩიტრა-გრივა მათ წვალებაში. ჩიტრაგრივა-ვიჩიტრანგა მტარვალობდა მეორე ქალაქშიაც. იქაც მორჩილებით იქცეოდნენ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მოთმინება კიდევ უფრო აძლიერებდა ვეფხვის შეუბრალებლობას, და დაიწყეს ბრძოლა. ჯერ კი-

# ვარშავაში მომხდარი ამბები.




ყაზახები „ამშვიდებენ“. --(დაგვიანებულია ფოსტისა და რკინის გზების გაფიცვის გამო)



დრაგუნების მოქმედება.—(დაგვიანებულია ფოსტისა და რკინის გზების გაფიცვის გამო)

დევ ღარიბები არიან, მაგრამ მონობას თავი დააღწიეს. მესამე ქალაქში ჩიტრა-გრივა-ვიჩიტრანგა-დამანაკა მიხვდა, რომ იქ მტარვალობა თვითონ მას მოუღებდა ბოლოს და წყნარი და მორჩილი შეიქნა. უკმაყოფილება სიცოცხლეა; უმოქმედო, მორჩილებითი მოლოდინი—სიკვდილი; გაბედულება ჰქმნის გმირებსა და ბედნიერებს, მორჩილების ბედია—მონობის უღელი და მათრახი.

## თუშ-ფშაური ლექსები.

შეკრებილი ვ. გელოვანის-მიერ.

მოუმესა, მძიმედ დაჭრილსა,
სიკვდილი ძილი ჰგონია,
გაკრობა საკაცეზედა
ცხენზედ შეჯდომა ჰგონია,
ჩადება ბნელ სამარეში
ლოგინში წოლა ჰგონია,
ზედ დაყრა შავი მიწისა
საბნის დახურვა ჰგონია,
გვამ-ბაყაყისა დახვევა
წვრილი ცოლ-შვილი ჰგონია,
ყელზედა გველის მოხვევა
ცოლის მკლავები ჰგონია,
ხაწვეთი მარმარილოსი
დედის ცრემლები ჰგონია.

—

რა ცუდი ზნე გჭირთ, ყორნებო,
თუთრს არ ჩაიცვამთ ტანზედა,
ტირილის სამაგიეროდ
ყეფა რათ იცით მკვდარზედა?
ვაჟკაცს გულს ამოარიდებთ,
ჩამოარიგებთ ჯარზედა,
დასხდებით, ჭამას დაუწყებთ,
ცრემლ არ მოგივათ თვალზედა!..

ღმერთო, ნუ მისცემ კარგ ყმასა
ცოლსა ავსა და ართმსა,
ის მოჰკლავს, ის დაბარებს,
წყალს გააყოლებს მდინარსა,
მხარზედით თოფსა აცლის
სიათა პირ გვამლიანსა,
წელზედით ხმალსაც შემოხსნის
ჭიროვრანგულ როხის ქვისასა.

—

როსტომ თქვა: სიბერ-კაცითა
სიტყვა სათქმელად გაძნელდა,
ჯაჭვი ჭერანგათ ნაცვამი
ეხლ ასაწევად გაძნელდა...

—

ქალო, რისთვინ გიხარიან
კარგი ყმისა ცოლობაი?
კარგი ყმისა ცოლობასა
კარგი უნდა ქალობაი;
შინა სახლსა რიგი უნდა,
კარე-კურსა შვენებაი,
სტუმარსა კარგა დახვედრა,
კარგი გულის ჩვენებაი.

—






„... უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მომცეთ მე თავისუფალი ადგილი...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

ელ. ქტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.
ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.